



ლიტერატურული მემკვიდრეობა

№6 (309)
ივნისი
2024 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათი წელი

“LITERATURULI MESKHETI”


მესხეთის სერიოზო და მოსახლოება XIX საუკუნეში

პასხანგ ბურული

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
(გაგრძ. დასაწყ. N4. 2024)

1829-1831 წლებში ოსმალეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული სომხები და ბერძენები სხვადასხვა რაიონში დაასახლეს. მაგალითისათვის გავიხსენოთ ნალკის რაიონში სომეხთა და ბერძენთა ჩასახლების პროცესი. ოსმალეთიდან ნალკისაკენ დაძვრულ ბერძენების პირველ ჯგუფს მეთაურობდა თევდორე ზამენოპული. ისინი ოსმალეთიდან 1829 წლის 8 სექტემბერს დაიძვრნენ. ნალკისაკენ სულ ბერძენთა 84 და სომეხთა 1 ოჯახი გამოემართა. ბერძენთა 84 ოჯახიდან 4 ადრე ოსმალთ

ფაშათან სხვადასხვა სამსახურში იმყოფებოდა, 4 ოჯახი სასულიერო წოდებისა იყო, 8 ოჯახი – ვაჭრებისა, 6 ოჯახი – ხელოსნებისა, 62 ოჯახი – მინათმოქმედთა. გადმოსახლებულები ჰასან-კალასა და ყარსის გავლით გიუმრში ჩაიყვანნენ, საიდანაც კარანტინის გავლის შემდეგ ბორჩალოს დისტანციაში გადაიყვანეს და სოფელ ნინწყაროში დაასახლეს. სოფელში მათ ბერძენთა 100 ოჯახი დახვდათ. მოსახლეობის მოულოდნელი ზრდის გამო სოფელში არსებული ისედაც მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. 1830 წლის აპრილში სოფელ ნინწყაროში ჩასახლებული ბერძენების ნაწილი გაპარაჯახებულ სოფელ ბეთაშენში გადავიდა. მეორე ჯგუფი ისევ ბერძენებისაგან შედგებოდა. ჯგუფში სულ 34 ოჯახი (3 სასულიერო წოდებისა და



ყარსი

მოგონება

(გუძღვნი სოლომონ მსაჯულის ხსოვნას)

ჰა, კვლავ ვიხილე ჩემი სოფელი! ეზოში ვზივარ ხის ქვეშ მდუმარე, სასიამოვნო თვალით სახილველი ჩემ გარშემოა არე და მარე...

ქვევით სჩანს მთები ახალციხისა, ცამდე ასულნი, ჩამოთოვლილნი; უკან გორები ჩვენივე სოფლისა გულის საამოდ მწვანით მოსილნი.

მდინარის გაღმით ვუმზერ მე კლდეებთ, ქვაბთა მათ შორის გამოქვაბულთა და ციხეებსა ძველ დროთ ანაგებთ, ზოგან კლდეებზედ გადმონგრეულთა.

რა მოთხრობა გსჯობთ, უსიტყვო კლდენო! თქვენ მოგვაგონებთ წარსულთა ჟამთა თუ რა ცხოვრება ჰქონდათ საძნელო, რაც ჭირი ადგა ჩვენთ ნინაპართა.

აი, სადაცა ცოლ-შვილიანად თქვენშიდ ეზიზნენ ჩვენი პაპები და იყვნენ ბედზედ გულ-ნადღლიანად, ეხლა ბუდობენ იქ შავარდნები!

მტრებსა – უწყალო ამაოხრებლებს ქვაბის კარიდამ გადმოსცქეროდნენ: როგორ სჯეგავდნენ მათ ვენახს, ყანებს და ქოხებს როგორ ცეცხლითა სწვავდნენ.

თუმცა შორს იყო, ვერ მიუნევენდნენ, მაგრამ არ უქმდათ გული საწყალოთა და თითო ტყვიას მტერს უგზავნიდნენ კიჟინით, წყევლით და გინებითა.

ერთმანერთისა და მტრისგან ძლეულთ, დაუძლურებულთ, ღონე-მიხილთა არ ქონდათ ძალი და გულის ტკივილს ვერ იქარებდნენ მტერის სისხლითა.

განხეთქილება როს ერთმანეთში მათ აღარ ჰქონდათ, ძალს მოიცემდნენ: ვილასა ჰქონდა მაშინ მტრის შიში? როგორც ცით მეხი თავს ეცემოდნენ!

რა კი რომ მტრებსა მოიშორებდნენ, შექმნიდნენ ჯირითს, სიმღერას თამაშს. გაოხრებასა აღარ სჩიოდნენ, რადგან იცავდნენ თავისუფლებას.

იმ კლდეთ გამოღმა, მხარ მარჯვნივ, სერზედ ვხედავ ნამოსახლს, მტრისგან აკლებულს.

ათასი ფიქრი მის შეხედვამდე, ვით ქარი ზღვასა, აღმიშფოთებს გულს...

თავადი, ძველად პატრონი მისი, იყო მოსისხლე მტერი ოსმალთა; ვერ გაიმეტა მამული თვისი, არ უღალატა მეფეს და ხალხთა.

განზრახვა მტრისა მხოლოდ მას ერთსა კარგად ესმოდა, არ სტყუვდებოდა; უბედურების მომლოდნე, ღმერთსა სამშობლოს დაცვას ევედრებოდა.

წინააღმდეგად თვისის განზრახვის მხოლოდ იმ თავადს მტერი ხედავდა, მსურველი იყო მისის მოსყიდვის: მოსაქრთამებლად არას ზოგავდა.

მაგრამ ვერაფრის სოფლის დიდებით ვერ შეურყია მტერმა მას გული; და უფრო მეტის თავ-გადადებით სიკვდილმდე შერჩა მამულს ერთგული.



ს. ლეონიძის საფლავი რაბათში

რა ოსმალთ მხარე დაიმორჩილეს, მსწრაფლ მოიგონეს მისი მტერობა: ადგილ-მამული სრულად წაართვეს, ცეცხლით გადუნეს მთლად მოსახლობა.

ვერ დაიმშვიდეს სული ამითა, ურწმუნო გული ვერ გაიჯერეს, და ვილაც ანგარ ბერძენს ქრთამითა ის ახალციხეს მოაწამვლინეს!

ჩვენ შემოგვინა ყოველი დიდება, ჩენთვის შეიქმნა დღე მოკლებული! ჩვენ კი, უმადურთ, არც გვავიწყდება და გვყავს სრულიად დავინწყებული...

დ. ლეონიძე

1874 წელი, პეტერბურლი „დროება“, 1876 წელი, N75

31 მინათმოქმედი) იყო. ბერძენები არზრუმის საფაშოდან გადმოსახლდნენ. ისინი გზას 1829 წლის სექტემბერში დაადგნენ, გამოიარეს ჰასან-კალა, ყარსი, გიუმრი, ბაშქიჩეთი. 1830 წლის 3 ივლისს ბერძენებმა ნალკის კარანტინი გაიარეს და შემდეგ დასახლებული ადგილები შესარჩევად გაემართნენ. მათ უკვე მიღებული ჰქონდათ თრიალეთში დასახლების უფლება. ბერძენები ნალკის ციხის მახლობლად მდებარე სოფელ ზემო ახალშენში დასახლდნენ, სოფელს სახელი შეუცვალეს და ბეშქე-ქანდიგი უწოდეს. მესამე ჯგუფი სომეხებისა და ბერძენებისაგან შედგებოდა. ისინი არზრუმის საფაშოდან 1830 წლის მაის-ივნისში დაიძვრნენ და იგივე გზა გამოიარეს, რაც მეორე ჯგუფმა. ნალკის კარანტინის გავლის შემდეგ, 1830 წლის ივლისში, ისინი მრავლად არსებულ ქართულ ნასოფლარებში სასურველი ადგილის შერჩევას შეუდგნენ. მესამე ჯგუფში 500 ბერძენი და 476 სომეხი იყო. ბერძენებს თან მოჰყვებოდა 19 მღვდელი, ხოლო სომეხებს – 13. მეოთხე ჯგუფი ბერძენთა 19 ოჯახისაგან შედგებოდა. ისინი ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაში დასახლდნენ, საიდანაც მალე თრიალეთში, ნალკის რაიონში გადასახლდნენ და სოფელ რეხაში დაიდეს ბინა.

სულ 1829-1831 წლებში ნალკის რაიონის 31 სოფელში ბერძენთა 642 და სომეხთა 477 ოჯახი ანუ სულ 1.119 ოჯახი დასახლდა. ბერძენებს თან მოჰყვა 26 მღვდელი, სომეხებს – 13.

ბერძენთა და სომეხთა 1.119 ოჯახიდან 3.652 კაცი და 3.390 ქალი იყო. 915 ოჯახი მინათმოქმედებას, 132 ოჯახი კი ხელოსნობას მისდევედა.

1831 წელს ნალკის რაიონში დასახლებულ ბერძენებსა და სომეხებს იქ დახვდნენ 10-20 წლის წინ გადმოსახლებული ბერძენები და სომეხები. საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ: ნალკის რაიონში ცხოვრობდა ბერძენების 629 ოჯახი, სომეხების – 481, ქართველების – 55, ოსმალების – 28, სულ 1.193 ოჯახი (7.873 სული). მაშინდელი ნალკის რაიონის ტერიტორია დაახლოებით 2.000 კვადრატულ ვერსს უდრიდა, ანუ ერთ კვადრატულ ვერსზე 4 მოსახლე მოდიოდა.

ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა და ბერძენთა დიდი ნაკადი ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში დასახლდა. ამ რაიონებში დასახლებულთა დიდი უმრავლესობა (2.311 ოჯახიდან 2.258 ოჯახი) არზრუმელი (2.205 ოჯახი) და ბაიბურთელი (53 ოჯახი) სომეხები იყვნენ. არზრუმი სერასკირის რეზიდენციას წარმოადგენდა და იქ რუსი მოხელეების ცნობით 100.000 კაცი ცხოვრობდა (65.000 ოსმალთა, 29.000 სომეხი, 2.000 ებრაელი, 1.000 სპარსი). არზრუმელ სომეხთა 90%-ზე მეტი საქართველოში გადმოსახლდა.

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

განცხადება

მიმდინარე წლის 15 ივნისს ჩატარდება საქართველოს მწერალთა კავშირის XXVI ყრილობა.

ყრილობაზე მოსული დელეგატები დაიშვებიან მწერალთა კავშირის წიგნაკებით.

მას, ვისაც წიგნაკი დაკარგული აქვს, შეუძლია მოგვმართოს შესაბამისი განცხადებით.

ყრილობაზე მწერალთა კავშირის წევრების დასწრება სავალდებულოა.

ყრილობა გაიმართება შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი. დილომი. ბელიაშვილის ქ. N68. დავით სარალიძის სახელობის დარბაზი.

რეგისტრაცია დაიწყება 10 საათზე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მესხეთის სერისკოროს და მოსახლეობა XIX საუკუნეში

◀ დასაწყისი გვ. 1

1832 წელს ქალაქ ახალციხის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ასეთ სურათს იძლეოდა: ქართველი – 52 ოჯახი (239 სული), სომეხი – 359 ოჯახი (1.495 სული), ებრაელი – 117 ოჯახი (689 სული), ოსმალი – 12 ოჯახი (62 სული). სულ ახალციხეში 540 ოჯახი (2.475 სული) ცხოვრობდა.

არზრუმისგან გამოსულ სომეხთა დიდი რაოდენობა ანჟურში, ახალქალაქსა და ხერთვისში დასახლდა. 1832 წლისათვის ამ ადგილებში 485 ოჯახი (306 ოჯახი – ანჟურში, 98 ოჯახი – ახალქალაქში, 81 ოჯახი – ხერთვისში) ჩაასახლეს.

ყარსიდან გამოსულ სომეხთა დიდი რაოდენობა შურაგელის, ბამბაკის, ლორეს დისტანციებზე და სომხეთის (ერევნის) ოლქში დასახლდა. შურაგელის დისტანციაში დასახლდა სომეხთა 1.983 ოჯახი (13.140 სული), ბამბაკის დისტანციაში – 453 ოჯახი (2.799 სული), ლორეს დისტანციაში – 15 ოჯახი (144 სული), სულ შურაგელის, ბამბაკისა და ლორეს დისტანციებში – სომეხთა 2.452 ოჯახი (16.083 სული). სამივე პროვინციაში ადგილობრივი მკვიდრნი მთელი მოსახლეობის 37,5 %-ს შეადგენდა, გადმოსახლებული სომეხები – 62,5 %-ს.

სულ 1830-1831 წლებში ოსმალეთიდან სამხრეთ კავკასიაში სომეხთა 14.044 ოჯახი (84.000 სული) გადმოსახლდა, აქედან 5.000 ოჯახი სამცხე-ჯავახეთში (ახალციხე, ახალქალაქი, ანჟური, ხერთვისი), ხოლო 1.050 ოჯახი ბამბაკის, შურაგელისა და ლორეს დისტანციებში დასახლდა.

საინტერესოა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ოსმალეთიდან გადმოსახლებულ სომეხთა დიდი ნაწილი საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე დაასახლა, ხოლო გაცილებით ნაკლები – სომხეთის ისტორიულ ტერიტორიაზე.

5. მესხეთის მოსახლეობა 1897 წლის აღწერის მიხედვით

1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, იმპერიაში დაახლოებით 200 სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც 146 ენასა და დიალექტზე საუბრობდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას სლავეტი შეადგენდნენ, რომლებიც 16 ენასა და დიალექტზე მეტყველებდნენ. 1917 წლამდე ტერმინი „რუსი“ აღმოსავლეთ სლავებს (რუსებს, უკრაინელებსა და ბელორუსებს) გულისხმობდა. 1897 წლის აღწერის მიხედვით, ველიკორუსები (55.400.000 სული) მთელი მოსახლეობის 47,8%-ს შეადგენდნენ, მალორუსები (22.000.000 სული) – 19%-ს, ბელორუსები (5.900.000 სული) – 6,1%-ს. ერთად აღებული ველიკორუსები (რუსები), მალორუსები (უკრაინელები) და ბელორუსები (ბელორუსები) რუსეთის იმპერიის მოსახლეობის უმეტესობას – 83.300.000 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 71,9%-ს – შეადგენდნენ. რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების გარდა, რუსეთის იმპერიაში სხვა სლავებიც ცხოვრობდნენ: სერბები, ბულგარელები და სხვ. სლავების შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქულენოვანი ხალხები – ყაზახები (4.000.000 სული) და თათრები (3.700.000 სული). რუსეთში ძალზე მრავალრიცხოვანი იყო ებრაული დისპორა – 3.800.000 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 3,3% (კიდევ 2.000.000 ებრაელი პოლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ: ლატვიელები (1.400.000 სული), გერმანელები (1.400.000 სული), მოლდაველები (1.200.000 სული), სომეხები (1.200.000 სული), მორდველები (1.000.000 სული), ესტონელები (1.000.000 სული). 1897 წლის 28 იანვრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ანკეტაში გრაფა ეროვნება არ ყოფილა, სამაგიეროდ, იყო გრაფა მშობლიური ენა. ამის გამო, ცხადია, ზუსტად არ დგინდება რამდენი ქართველი ცხოვრობდა საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა – თბილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიასა და ყარსის ოლქში. სხვადასხვა მონაცემის შეჯამების შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სამი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე დაახლოებით 1.000.000 – 1.200.000 ქართველი ცხოვრობდა. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ქართველთა რაოდენობა შეიძლება მეტიც ყოფილიყო.

მესხეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ყარსის ოლქის შემად-

გენლობაში შედიოდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის 28 იანვრის საყოველთაო აღწერის მასალებით მიხედვით, ყარსის ოლქის ტერიტორია და მოსახლეობა ასე გამოიყურება:

1. ტერიტორია. მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივი თანაფარდობა. 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ყარსის ოლქის მოსახლეობა 290.654 სულს უდრიდა (160.751

უდრიდა (2.962 სული მამრობითი სქესისა, 1180 სული – მდედრობითი სქესისა); აღწერის დღეს დაბა არტანუში დროებით იმყოფებოდა 118 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 426 მოქალაქე; ნერა-კითხვა იცოდა მოსახლეობის 43,8%-მა.

3. ყალიზმანის ოკრუგი: ტერიტორია – 3.882,4 კვადრატული ვერსი. მოსახლეობა – 59.230 სული (33.344 სული – მამრობითი სქესისა, 25.886 სული – მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ ვერსზე 15,25 სული; აღწერის დღეს აღწერის ადგილზე დროებით იმყოფებოდა 689 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 6.004 მოქალაქე; ნერა-კითხვა იცოდა ოკრუგის მოსახლეობის 11,9%-მა.

დაბა ყალიზმანის მოსახლეობა 10.518 სულს უდრიდა (7421 მამრობითი სქესისა,

დაბა ყალიზმანში დროებით იმყოფებოდა 58 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 1.064 მოქალაქე.

4. ოლთისის ოკრუგი. ტერიტორია – 2.599,8 კვადრატული ვერსი. მოსახლეობა 31.5129 სული (16.845 სული მამრობითი სქესისა, 14.674 სული მდედრობითი სქესისა). მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კილომეტრზე – 12,12 სული. აღწერის დღეს აღწერის ადგილზე დროებით იმყოფებოდა 444 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 1896 მოქალაქე; ნერა-კითხვა იცოდა ოკრუგის მოსახლეობის 6,8%-მა.

დაბა ოლთისში მოსახლეობა 2.373 სულს უდრიდა. 1633 სული მამრობითი სქესისა, 740 სული – მდედრობითი სქესისა; აღწერის დღეს დაბა ოლთისში დროებით იმყოფებოდა 89 სული, აღინერა უცხო სახელმწიფოთა 401 მოქალაქე; ნერა-კითხვა იცოდა დაბა ოლთისის მოსახლეობის 37,5%-მა.

2. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1897 წლის აღწერის დროს ყარსის ოლქში მშობლიურად მიიჩნეის შემდეგი ენები:

- 1. ყარსის ოკრუგი:
 - რუსული, უკრაინული, ბელორუსული ენები – 20.376 სულმა;
 - სომხური – 46.715 სულმა;
 - თურქული – 10.609 სულმა;
 - ქურთული – 9.165 სულმა;
 - ბერძნული – 14.805 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 22.002 სულმა;
 - თურქმენული – 2.456 სულმა;
 - პოლონური – 2.093 სულმა;
 - სხვა ენები – 5.921 სულმა.
- ქალაქ ყარსში მშობლიურ ენად მიიჩნეის შემდეგი ენები:
 - რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 20.376 სულმა;
 - სომხური – 46.715 სულმა;
 - თურქული – 10.609 სულმა;
 - ქურთული – 9.165 სულმა;
 - ბერძნული – 14.805 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 22.002 სულმა;
 - თურქმენული – 2.456 სულმა;
 - პოლონური – 2.093 სულმა;
 - სხვა ენები – 5.921 სულმა.
- 2. არტანუჯის ოკრუგი:
 - რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 20.376 სულმა;
 - სომხური – 46.715 სულმა;
 - თურქული – 10.609 სულმა;
 - ქურთული – 9.165 სულმა;
 - ბერძნული – 14.805 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 22.002 სულმა;
 - თურქმენული – 2.456 სულმა;
 - პოლონური – 2.093 სულმა;
 - სხვა ენები – 5.921 სულმა.
- 2. არტანუჯის ოკრუგი:
 - რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 2.357 სულმა;



- სომხური – 1.918 სულმა;
 - თურქული – 28.047 სულმა;
 - ქურთული – 12.565 სულმა;
 - ბერძნული – 7.839 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 7.874 სულმა;
 - თურქმენული – 4.328 სულმა;
 - პოლონური – 207 სულმა;
 - სხვა ენები – 628 სულმა.
- დაბა არტანუჯი მშობლიურად მიიჩნეის შემდეგი ენები:
- რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 1331 სულმა;
 - სომხური – 1.315 სულმა;
 - თურქული – 746 სულმა;
 - ქურთული – 12 სულმა;
 - ბერძნული – 107 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 8 სულმა;
 - თურქმენული – 7 სულმა;
 - პოლონური – 206 სულმა;
 - სხვა ენები – 410 სულმა.
3. ყალიზმანის ოკრუგი:
- რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 4085 სულმა;
 - სომხური – 21.648 სულმა;
 - თურქული – 5.172 სულმა;
 - ქურთული – 17.733 სულმა;
 - ბერძნული – 7.245 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 2 სულმა;
 - თურქმენული – 659 სულმა;
 - პოლონური – 895 სულმა;
 - სხვა ენები – 1791 სულმა.
- დაბა ყალიზმანში მშობლიურ ენად მიიჩნეის შემდეგი ენები:
- რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 2572 სულმა;
 - სომხური – 3.013 სულმა;
 - თურქული – 2.040 სულმა;
 - ქურთული – 184 სულმა;
 - ბერძნული – 96 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 0 სულმა;
 - თურქმენული – 1 სულმა;
 - პოლონური – 844 სულმა;
 - სხვა ენები – 864 სულმა.
4. ოლთისის ოკრუგი:
- რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 1038 სულმა;
 - სომხური – 3.125 სულმა;
 - თურქული – 19.719 სულმა;
 - ქურთული – 3.505 სულმა;
 - ბერძნული – 2.704 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 1 სულმა;
 - თურქმენული – 999 სულმა;
 - პოლონური – 48 სულმა;
 - სხვა ენები – 380 სულმა.
- დაბა ოლთისში მშობლიურ ენებად მიიჩნეის:
- რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 799 სულმა;
 - სომხური – 12.056 სულმა;
 - თურქული – 157 სულმა;
 - ქურთული – 7 სულმა;
 - ბერძნული – 101 სულმა;
 - ყარა-ყალპაკური – 0 სულმა;
 - თურქმენული – 0 სულმა;
 - პოლონური – 34 სულმა;
 - სხვა ენები – 112 სულმა.
- მთლიანად ყარსის ოლქის ოთხივე ოკრუგში მშობლიურ ენად მიიჩნეის:
- სომხური – 73.406 სულმა;
 - თურქული – 63.547 სულმა;
 - ქურთული – 42.968 სულმა;
 - ბერძნული – 32.593 სულმა;
 - რუსული, უკრაინული, ბელორუსული – 27.856 სულმა.
- ამრიგად, ყარსის ოლქში მშობლიურ ენად სომხური მოსახლეობის უმრავლესობამ, 73.406-მა სულმა, ანუ 25,3%-მა, აღიარა; თურქული ენა – 63.547 სულმა, ანუ 21,9%-მა, ქურთული ენა – 42.968 სულმა, ანუ 14,8%-მა, ბერძნული ენა 32.593 სულმა, ანუ 11,2%-მა, რუსული, უკრაინული, ბელორუსული ენები – 27.856-მა სულმა, ანუ 9,6%-მა. დამაფიქრებელია, რომ 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით, ყარსის ოლქის 290.654 მცხოვრებიდან მშობლიურ ენად ქართული არ მიიჩნევიან არც ერთს. ჩვენ არ ვიცით, რა იგულისხმება სხვა ენებში, რაც, აღწერის მასალების მიხედვით, მოსახლეობის საკმაოდ დიდ რაოდენობას (8.720 სულს) მიუთითებდა. იქნებ ისინი, ვინც მშობლიურ ენად ქართულს მიიჩნევდნენ, სწორედ ამ 8.720 სულში იგულისხმებიან...
3. მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა. ყარსის ოლქის რელიგიური შემადგენლობა ასეთ სურათს იძლეოდა:
- 1. ყარსის ოკრუგი:
 - მართლმადიდებლები – 24.798 სული (ქალაქ ყარსში – 6.056 სული);
 - სტარობრიადეცები – 11.395 სული (ქალაქ ყარსში – 388 სული);
 - რომაულ-კათოლიკური – 2.847 სული (ქალაქ ყარსში – 1719 სული);
 - პროტესტანტები – 1.020 სული (ქალაქ



გიორგი ზუბიტაშვილი

თამარის ფრესკას, ლეთიურს და ქართულს,
ქართველი კაცის წესით ქედს ვუხრი...
სახეს ზეციურს, მეფურს და ქალურს,
ვერაფრით ნაშლის ცეცხლი და კუპრი!
ვჭვრეტ უცხო თვალით ნარსულის
ნაშთებს,
მაშვრალ ქართველთა ამაგის ნაყოფს:
თმოგვს და ვარძიას კლდეებში ნაგებს,
საუკუნეთა ქარცეცხლში ნამყოფს!
შენ კი, ბერ-ქვაო, ქვაო საყდრისავე,
ძველო ჩუქურთმავ მზისა ნაფერო,
შენ დაგავალეს ვალი ქართველისა:
შემოგვინახო ჩვენ საქართველო!

მერე მანიფესტი

მინც ლექსებით უნდა ვიუბნო,
ვით ამბავს ყვება სიო მავალი,
ლექსია ჩემი მწირი საუფლო –
ჩემი ნარსული და მომავალი!
რაც უკან დარჩა და რაც წინ მელის,
ის სტრიქონ-სტრიქონ უნდა ავაგო
და სულის მწველი ამოძახილი,
ლექსებად უნდა ვილაპარაკო!
თუნდ არა ღირდეს ჩალად და გროშად,
მე რომ მგონია ბადახშად, ოქროდ,
მაშ, ჩამითვალეთ პოეტურ ხოშად,
ლექსით სიცოცხლე მაცადეთ ოღონდ!
ხოლო სიცოცხლე თუ ლექსს თან ახლავს,
როგორც კაცის გზას ტყვია მრავალი...
ნუ გამინყრებით, ლექსია რადგან
ჩემი ნარსული და მომავალი!

/ლირიკა/

ისევ თოვლი,
ისევ მთების ქარიშხალი,
შავი ღამე შავი ძაბით დაიბინდა,
ხეთ სიშიშვლეს ადგას
მთვარის ნაპერწკალი,
ვით არასდროს,
ახლა შენთან ყოფნა მინდა!
დაითოვლა ბილიკები და სახლები,
გადათეთრდა ფერდობები საივე,
ინებებიან, ინებებიან ცეცხლ-სანთლები,
ოცნებებიც დაწვი, გაუაქარნიავე.
გარეთ ურჩი ამინდების ქირქილია,
სიმძიმის კოცონს მწუხრი მიეღვარებს...
ვიცი, ჩემი გულწრფელობა სირცხვილია,
არას ვიტყვი...
მაშ, რა ვუყო, აბა, თვალებს?!
ისევ თოვლი,
ისევ მთების უძრავი,
ზღვა-სიჩუმე, ნამით მისიც შემეშინდა,
ბევრი მზის და
ბევრი მთვარის ვარ მნახველი,
მაგრამ ახლა შენთან ყოფნა უფრო მინდა!

შენ რომ ჭრელი კაბა გეცვა ჩითის,
ის კაბა რომ შემოდგომას გავდა,
როგორ გაცვდა, როგორ გაცვდა, მიკვირს,

მზედანყველილ ამინდების კართან...
შენ რომ მანდილს ატარებდი ნისლის, –
ბამბისქულა რად მიეცი ტალახს?!
იმის ნახვას ველარ შევძლებ?! – მიკვირს...
და სიშმაგით ვემსგავსები არაგვს!
თეთრაქალო, რისად მალავ ღიმილს,
დაუყვავე, დაუზავდი ზამთარს?
ალარა კრთის მავ თვალეში სხივი,
ვით გვირილა შენირული სამკალს!
მალე მოვა გაზაფხული მთებში,
სერს შემოსავს იული და ლოლო,
მზე ჩადგება სულის ჩარდახებში,
შენც ღიმილი დაგემჩნევა, გოგო!

სათიბგორზე დაინვა ღამე,
დათოვლილ მთებში ნისლია შავი...
სხვათა ბილიკზე სული ვანამე
და ჩემს ბილიკებს ნავართვი თავი!
სხვათა ბილიკზე ვიბრძოლე მრავლად,
არ დამიზოგავს ღონე და ძალი,
ჩემი კერია? – ვაქციე ნავლად –
დაქერივებული ის პატარძალი!
არა! დღეიდან მივხედავ მინას,
მოსწყინდა მამულს დედაჭინჭარი,
ვილოცებ იმ ღმერთს, პაპა რომ ფიცავს,
მეც რომ ერთი მყავს დასაფიცარი!
ქვას ქვაზე დავდებ, ავაგებ ნიშას,
როგორც წინაპრებს უგიათ გრემი,
არ დაგხარბდები სამშობლოს სხვისას,
ერთი მტკაველიც მეყოფა ჩემი!



ნანს. ლადო გუდიაშვილისა

თიბათვე იყო

თიბათვე იყო, მონეულ მინდვრებს
თიბავდნენ,
კლავდნენ
ავი ცელები,
შენ დასტიროდი დამჭკნარ ყვავილებს
და თრთოდნენ შენი ცივი ხელები.
მეც საგარჯეთში* ვიდექი იმ დღეს,
მდიოდა სიმწრის თქეში და თქორი,
მაგრამ შენს სურვილს ვერ ავყე მყისვე,
არ იყო ვაჟურ ზნე-წესთა სწორი...
გასწყრი, გამექეც, ვით მგელს ჯერანი,
შემრისხა მზერამ – მწარე ისარმა,
და ბედი ლექსად ჩამომღერალი,
აახმაურა უმალ გრიგალმა.
და ახლა, როცა ლანდივით გაქრი,
ვიგონებ ოხვრით ზურმუხტის მინდვრებს...
ცოდვაში ჩავდექი, ძვირფასო, მაშინ:
შენც ყვავილივით მოგწყვიტე იმ დღეს.

* შრომაში

ჩამოვიარე სამზეო,
ავ-კარგის მეტი რა ვნახე?!
დავრევი ვაზიც და ეკალიც,

ორთავე გაგავეწახე!
ორივეს ნილი ჩემია,
სიმწრისა ოფლი მე ვღვარე:
კარგიც და ცუდიც ამ ხელით
ცეცხლივით ავავლავარე.
ვაზს მადლის წყალი დავუხსი,
ეკალს – შხამ-გესლი მდუღარე,
ერთით სულს შევბა მივეცი,
მეორით – დავამწუნარე!
კარგი თუ ცუდი მეტია
მაგის არა ვარ მცნობარი,
ჩემ მერე იტყვის, ე, მაგას
ავ-კარგთა შესამკობარი!

ავლვარდნენ ასკილები
წყაროს პირას...
დგას სიჩუმე უპირო და
არც რის მთქმელი,
ნისლურ ფიქრი ქარს და სიოს
შორეთს მიაქვს,
ფიქრი მძიმე,
უთქმელი და უძრავი.
უკან ჩემი ნაკვალევი
ცრემლმა შალა,
ვით ამბავი სამიჯნურო –
გულთ ისარი,
ვერ მომდრიკა,
დრომ ვერაფრით ვერ დამალა,
ამ ნალკოტში მეფეც მე ვარ, –
კეისარიც!..
ავლვარდნენ ასკილები

წყაროს პირას,
თმა გაშალეს ტირიფებმა –
ცხრა ნანწავი...
მზეცა ვნახე, მთვარეც ვნახე,
ნახვად ღირდა,
მხოლოდ შენლა დამრჩი, ღმერთო,
სანახავი...

ნეტავი მწყურვალს, ნანატრო ქალო,
მასმევედ წყაროს ვერცხლის ხელადით,
შენ ჩემი ღუმლის ასული იყო,
მე – შენი მოდგმის მტერთა ბელადი!
ჰგავდე გაზაფხულს კდემით და რიდით,
გშვენოდეს მთების მკაცრი სურათი,
მასმევედ თუნგით სიცოცხლის წყაროს,
კვდებოდე, როგორც ჰაჯი-მურატი!
გდიოდეს ცრემლი – ბროლის ჩქერალი,
ხელებმა შენი სახე დალადროს,
მეშველებოდე პირმონუხარი,
მეშველებოდე, მაგრამ რალა დროს!

აგერ ის თოვლიან-მთანი
შემოვიტოვე ფეხითა,
შენ ნახვას დანატრებული
გზანი მოვლიე კლდიანი.

მედიდებოდა ქარბუქი,
ცა – ელვითა და ჭექითა,
ვაპ, ბედად თვალი ვერ მოგკარ,
ვერ შევეჩხებე ერთმანეთს.
ანაც ნამიერ დამლანდე,
დამიფრთხი – ხირიმს ქედანი,
ვერცხლის თუნგივით დამცალე,
დაგკარგე, როგორც თილისმა...
ეტყობა დამანწყევარმა
ჯამი შეავსო შხამითა,
იმით დამლოცა ბედშავი –
გახარებული ჯერ არა.
შენც იმის გუმნით მაცოცხე,
განა ჯვარ-ნიშის ძალითა,
თორემ ამ ბენვის ბილიკზე
შევეყრებოდით ერთმანეთს!..

ზამთრისპირული ანდრეზი

ვამჩნევ, ნომებერს ნაუხდა სახე,
ნისლისფერია ირგვლივ ყოველი,
როგორც ამ ღამეს გული პოეტის,
უცნაური და დაუდგომელი...
ვისხენებ, ვწონი გარდასულ ლანდებს,
რა სურს ცხოვრებას კი ვერა მივხვდი...
ლექსებად ვუხდი უფალს ხარაჯებს
და დროთა აკრულ ნილაბებს ვიხდი.
ინგრევა ჩემში ოცნების კოშკი,
როგორც ათეშა ან მონასტერი...
ეს დრო გამიხდა დარდად და
წყლულად, –
სხვა არაფერი.
თუმცა ჩემ გუმანს მინც არ ვკარგავ,
დასრულებულია განა ყოველი? –
მნამს, ჯერ წინ არის ჩემი მისი,
ვით დიდებული სვეტიცხოველი!

მოდის წყარო ბროლისფერი,
სათუნგე და სადალალე,
მაგრამ, ქალო, ამ მხარიდან,
თურმე ნისლები აიყარე!
ვინ აავსებს ახლა კოკას,
ან ვინ დაკრეფს ყვავილს ამდენს...
ვინ მომიტანს თიხის ღოქით
ალერსს ცრემლებჩამონადენს?!
ვის დაუთმე ვერცხლის ღილი,
ან ასკილი ჰყვავის რისად?!...
თუ შენ არ ხარ, დე, აპრილი
იქცეს არცა რაის ღირსად!
მაგრამ მინც მოდის წყარო,
ჩემი სულიც მას ეკვეთა
და იმ წყაროსა ჰგონია,
რომ ერთხელაც მოხვალ ჩვენთან!

ე, აგერ უკვე ჩაიარა წყალმა მრავალმა,
მით გამახსენა გაზაფხულმა შენი სახელი...
ჩვენ დროთა სვლაში ერთმანეთი
შემოგვემალა
და ყველაფერში ვაზიარეთ აღარაფერი!
ჩვენი ბილიკი შენ გაცვალე სხვათა
შარა-გზით,
მეც სხვათა ეშხმა დამატყვევა
მწუხარნაგემი,
მაგრამ მე მინც გულისჯიბით დამაქვს,
გოგოო,
შენი ღიმილი, შენი მზერა, შენი სახელი!
მარისხებს ახლა კესანეთა დამჭკნარი
ველი,
მათი ჩაკონვა შენს დალალში რომ მსურდა
ძლიერ,
ალბათ, სხვის ნაკრეფ ყვავილებმა თუ
დაგმოხნა,
ჩემს ხელში ჩამჭკნარ კესანეთა კონის
მაგიერ!
და აგერ უკვე ჩაიარა წყალმა მრავალმა,
გასრულდა ჩემი ოცნებების
ჰანგი-ჩარგული,
როგორც სიჩუმით ნაამბობი ძველი
სიმღერა,
მივინყებულები და უნდობლად
გადაკარგული!



ლო დაუშენებიათ. ასეთი სამრეკლოები იმხანად ჯავახეთის ბევრ ქართულ ტაძარზე გაჩნდა და ზოგს ეს სომხური არქიტექტურის ზეგავლენის შედეგი ჰგონია, მაგრამ ეს ტენდენცია ანატოლიის მხრიდან ნამოვიდა, უფრო ბერძნების შემოტანისა და, შეიძლება ითქვას, რომ უკვე საერთო ქრისტიანულია. კოთელის კვირიკეთის ტაძარზე ასეთი სამრეკლო უკვე ისეთი ორგანულია, რომ მისი შეკეთება, რესტავრაცია იგეგმება და მოცილებულზე საუბარი საერთოდ ზედმეტია. კოთელის კვირიკეთის ტაძრის სახურავი ნლების წინ ახალი რესტავრირებულია, მაგრამ არასათანადო მასალების და არასტანდარტული დუღაბის გამოყენებით ისე უხარისხოდაა შეკეთებული, რომ წვიმის დროს ინტერიერში დიდი პრობლემებია. ბარალეთის ფერისცვალების ახლადრესტავრირებული ეკლესიის მსგავსად ახლა წყალი ორივეგან უონავს, თანაც იქაც, სადაც რესტავრაციამდე პრობლემები არ იყო. კვირიკეთის ტაძრის ქვეშ დარანი გადიოდა, რომელიც ძველების გადმოცემით სოფელში ყოფილა დაქსაქსული და მურჯის დარანსაც უკავშირდებოდა.

კოთელის კვირიკეთი მადლიანი სალოცავია და ვინ იცის, რამდენი ამბის მომსწრეა, რომლის უმრავლესობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ გასულ საუკუნეში, კომუნისტური წყობილების პირობებში, აქ დატრიალებული ცოდო-მადლი, მაინც შემორჩა ზოგიერთი კო-

– გამატანე დედაჩემო, ამ ხატს ჩემს სახლში განსაკუთრებულ ადგილს მივუჩენო.

– არაო, – დედას უპასუხია, – ეს ხატი შენ საიდანაც ზურგით მოიტანე, ისევ იქ უნდა მიიტანო, ოღონდ ჩემი სიკვდილის მერეო.

მართლაც, სარა ბაბოს გარდაცვალების შემდეგ, ორმოცის დღეს, ჯუბას აულია ეს ხატი და თავის დასთან ერთად ისევ კვირიკეთის ეკლესიაში დაუბრუნებია. ხატი დღესაც იქ ინახება და მისი მადლი ახლა ყველას მფარველობს.

იყო პერიოდი, როცა კვირიკეთის ეკლესია სოფლის საწყობად გამოიყენებოდა, მერე ამის შემდეგ სოფლის ახალგაზრდობამ მის ინტერიერში ბილიარდის მაგიდა დადგა და დღეღამე ღრიანცელი და გართობა არ წყდებოდა. ვინ იცის, იქნებ ამ ცოდვის გამოა, რომ იმ წელს სოფელში არნახულად ბევრი ახალგაზრდა ტრაგიკულად დაიღუპა. ბოლოს და ბოლოს, ძლივს მოხერხდა ამ უკეთურობის მომხრე ახალგაზრდების გადარწმუნება, – საბილიარდე მოიშალა, ეკლესია დალაგდა და წინაპართა სულებმაც დაისვენეს, მაგრამ კოთელის კვირიკეთი ბოლო წლებამდე უმოქმედო ეკლესია იყო, საბედნიეროდ გასულ წელს მამა ფოკას მცდელობით და ლეთის ურთხევით კვირიკეთი უკვე მოქმედი ტაძარია!

დიდხანს მიკვირდა და წლებია, ვერანირად ვერ ამეხსნა, ჯავახეთის სხვა ტაძრების მსგავსად რატომ არ იყო კვირიკეთის ტაძრის გალავანში არცერთი ქვაყორი და მსგავსი ფორმის კიდეც სხვა ძველი საფლავის ქვები?!

ეკლესიასთან თუ აკლდამასთან დაკავშირებით თავიანთი წინაპრებისაგან გაგონილ

იცნობენ. აქედან 300-400 მეტრში, სამხრეთ-აღმოს



კვირიკეთის გადარწმუნებული ხატი


თავდასჯანი

თელიელის მესხიერებას და საერთო წარმოდგენის შესაქმნელად ურიგო არ იქნება თუნდაც ერთის გახსენება:

„სამამულო“ ომის პერიოდში, 1944 წელს, მაშინ როცა ინტენსიურად მიმდინარეობდა კვირიკეთის ტაძრის გვერდით სასოფლო კლუბის მშენებლობა (კლუბის, როგორც ახალი თავშეყრის ადგილის, ეკლესიის გვერდით შერჩევა, არც აქ და არც სხვაგან შემთვევით არ ხდებოდა, ახალს ძველი უნდა დაეჩრდილა და ჩაენაცვლებინა), მიმდინარე სამუშაოების გასაკონტროლებლად ერთ დღეს რაიკომიდან მოვლენილი ზედამხედველის თანხლებით ეკლესიიდან გამოუტანიათ მოზრდილი საეკლესიო ნიგნები და ხატები, კოცონი დაუნთიათ და მათი სრულად დანვა სდომებიათ, მაგრამ, ეტყობა, დავალების შემსრულებლებში, თუნდაც ერთში, სინშინდის ძარღვი მაინც ბოლომდე გამწყდარი არ ყოფილა და, მისი მოხერხებულობით და გამბედაობით ზოგიერთი ნიგნი და ხატი მაინც გადარჩენილა. როგორც იხსენებს ამ დღის შემსწრე, იმხანად 4-5 წლის ბავშვი ჯუმბერ ბერიძე, მაშინ როცა ერთ-ერთი სამკარედიანი ხატი ცეცხლში ჩასაგდება მოუტანიათ, ოთხი კაციდან ერთ-ერთს (ყავრელიძის) ეს ხატი ფრთხილად აულია და ბავშვისთვის ბეჭებზე თოკით მიუბნია, მერე ზურგზე ხელი დაუკრია და ჩუმად მიუძახებია:

– მოკურცხლე ახლა, ეს ხატი დედაშენთან მიარბენი, მორწმუნე ქალია, იმამ კარგად იცის ამ ხატის ფასი და მიხედავ არ გაუჭირდებაო.

ბავშვიც ამდგარა და ძუნძულით სახლში გაქცეულა. თვალი კიდეც ერთ მოზრდილ ნიგნზე დარჩენია, მაგრამ დიდი ყოფილა და მისი ნამოღება ვეღარ გაუბედა. დედასთან მისული შემობრუნებულა და მისთვის ზურგი უჩვენებია. სარა ქალბატონი კი, მაშინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის მეუღლეს, ბავშვის ზურგიდან ხატი სასწრაფოდ მოუსხსნია, ნაჭრებში გაუხვევია და გადაუმალია. მოგვიანებით მათი სახლის მოპირდაპირედ მცხოვრები დურგლებისთვის (ძმები მაისურაძეებისთვის) ხატისთვის სპეციალური დასაკეცი ზედსამაგრი გაუკეთებინებია და ასე რესტავრირებული ხატი ნიგნების უკან კარადში შეუნახია. აქედან მოყოლებული სარა ბაბო არცერთ კვირადხალს (მაბათ საღამოს) არ გააცდენდა ისე, რომ ეს ხატი არ გამოეღო, მალულად მისთვის სანთლები არ დაენთო და შესაბამისი ლოცვები არ წაეკითხა. სიტუაციიდან გამომდინარე, როცა მერე სარა ბაბო შეიღობა საცხოვრებლად თბილისში გადავიდა, ხატიც თან წაიყოლა. ერთხელ დედასთან სტუმრად მყოფ ჯუმბერს დედამისისთვის კვირიკეთის ხატის ამბავი შეუხსენებია და უთხოვია:



კვერი, უღელი, ბორბალი. ფოტოები ავტორისა

ერთხელ, ეკლესიის გვერდით, ადრე „ჰალის“ (ხარების შესარევი შემოღობილი ტერიტორია) და შემდეგ „გესის“ (უფრო „დიხელი“ იყო ვიდრე ჰესი, დიხელზე მუშაობდა, მაგრამ ხალხი უმეტესად მაინც „გესს“ ეძახდა, რადგან მანამდე სოფელში დენი ბარალეთის „გესიდან“ მოდიოდა) გალავნის ქვების გულისყურით დათვლიერებისას მივხვდი, რომ ეს ლოგები კვირიკეთის გალავანში მოთხრილი და გატანილი საფლავის ქვების გამოყენებით იყო აშენებული. რამდენიმე ქვაყორი, რამდენიმე ქვაჯვარის ფუძე, საკურთხევის ქვა დავითვალე და დავინიშნე. შევკრიბეთ სოფლის ჯან-ღონით სავსე ბიჭები და ყველა ისინი, სათითაოდ, ეკლესიის გალავანთან მოვაგროვეთ.

კოთელისაში, წმ. გიორგის სახელობის მომცრო ეკლესიაცაა, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარე ძველი სასაფლაოს შუაგულში მდებარეობს. მომცრო ბაზილიკა მონითალო ფერის თლილი ბლოკებისგანაა ნაგები. დასავლეთის ფასადზე სამშენებლო მხედრული წარწერა აქვს ჩატანებული. ირგვლივ მრავალი საინტერესო ფორმის და ზომის საფლავის ქვებია, მათ შორის ქვაყორები და მრავალფეროვანი გუთნის გამოსახულებით. სოფელი ამ ეკლესიას ზარიძეების ეკლესიას ეძახის. ადრე აქ ყოფილა სოფლის ძირითადი ძველი სასაფლაო, რომელიც აღარ დატეულა და მერე ძირითადად კვირიკეთის ეკლესიის გალავანში დაუნყიათ მიცვალებულების დასაფლავება. მერე სასაფლაო იქაც გადასვებულა და გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან სოფლის სასაფლაო გოდორაზე გადაუტანიათ. კოთელიელი ზარიძეები ამ მცირე

სავლეთით, ზარიძეების ეზოში, დიდი, ნანგებული ლოდი დგას, რომელიც სავარაუდოდ მენჭირი შეიძლება ყოფილიყო. ჩვენს ბავშვობაში ამ ქვასთან ხშირად სანიღებს ანთებდა და ლოცვებს კითხულობდა სოფელში ცნობილი დოსტაძარი ელე ბაბო, ამიტომ ამ ქვას ელე ბაბოს სალოცავს ეძახიან.

კოთელის კვირიკეთი სოფლის დასავლეთით მდებარე გოდორას გორაზე, მსხვილი ქვებით ნაშენი გალავნით გარშემოვლებული უძველესი სალოცავია გამართული, რომლის აღმოსავლეთით სალოცავი ნიშის თავზე ქვაჯვარაა აღმართული. ქვაჯვარა გასულ საუკუნეში ჩვენი თანასოფელი ქვის ოსტატის ვახტანგ (ბახო) საბაშვილის მიერაა გამოთლილი და დაყენებული, რასაც ზედ მის მიერვე გაკეთებული ქარაგმული წარწერაც ამკობს და ადასტურებს. თავად სალოცავი ძალიან ძველია და არაა გამოირცხული, აქ, მანამდე, წარმართული სალოცავი ყოფილიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უწინ, გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლომდე, ადღგომის მეორე კვირას, ამ სალოცავთან ჯავახეთის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი კვირიკეთის დღესასწაული იმართებოდა, სადაც უამრავი ხალხი იკრიბებოდა და გრანდიოზული სახალხო ზეიმის ფორმა ჰქონდა.

კოთელის ტერიტორიაზე კიდეც ერთი უძველესი ნაეკლესიარი პატარა მურჯის ჩრდილოეთ კიდეზე მდებარეობს, რომელიც მურჯის ნამოსახლარის მიმოხილვისას უკვე აღვნიშნეთ. გოდორას გორაზე, ახალი სასაფლაოს კიდეში მდებარე მომცრო ტაძარი კი ახალი აშენებულია და რამდენიმე წლის წინათ მეცენატ ნოდარ ბერიძის დაფინანსებითაა აგებული.

ავერ, სულ ესაა, ჯავახეთის ერთი სოფლის მოკლე ისტორიული თავგადასავალი, რომლის გაზიარებაც თითოეული თქვენთაგანისთვის ასე გულთ და სიამაყით გვსურდა, რადგან მისი წარსული ძალიან ნაგავს სამცხე-ჯავახეთის ბევრი სხვა სოფლის ისტორიულ თავგადასავალს, განსხვავებაც, რა თქმა უნდა, ბევრია. მაგრამ კოთელის ისტორიული თავგადასავალი და ბედი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რას გაუძლო ჩვენი კუთხის ბევრი ძირძველი სოფლის უმამაცესმა და მშობლიური მიწა-წყლის უზომოდ მოყვარულმა მოსახლეობამ და დღემდე როგორ ღირსეულად ებღვაუება თავიანთი მამა-პაპის მიერ სისხლის ფასად შენარჩუნებული მიწა-წყლის თითოეული გოჯს, რითაც ბეჯითად ამგვრებს ჩვენი ქვეყნის „სამხრეთის კარიბჭეს“, ისე, რომ არავის არაფერს ამადლის და არც არავისგან არაფერს არ ელოდება, მაგრამ ყველა ასეთ სოფელს და მის მაცხოვრებელ მამაც ხალხს ჩვენი დიდი ყურადღება და დამამახურებელი პატივისცემა რომ სჭირდება, ვფიქრობ, ბევრი თქვენგანი ამ ნაამბობის წაკითხვის მერე უთუოდ დაგვეთანხმება.

კოთელის ქვაჯვარი (VII-VIII ს.ს.), მდებარეობს კვირიკეთის ეკლესიის სამხრეთით, სამასიოდე მეტრში, მაისურაძეების ეზოში. მსხვილი მასიური ქვისგან გამოთლილი ქვაჯვარი ბრტყელ ფუძეზეა აღმართული. სალოცავი მსხვილი ლოდებისგან შეკონსტრუირებულია შემოსაზღვრული. კოთელის მოსახლეობა სადღესასწაულო დღეებში სალოცავში დღემდე სანიღებს ანთებს და ლოცულობს.

იქვე, გზის გადაღმა, კიდეც ერთი, სალოცავი ქვაჯვარია ბერიძეების ეზოში, რომელსაც სოფელში ბესარანთ სალოცავის სახელით



ფარავანთან...
...57. სოფ. მახარო-
სოფ. ფარავანთან...
...58. სოფ. ასფარა - ფარავანის ტბას-
თან...

კიდევ ერთი გარემოება: გარდა ფარავანის ტბისა, ყველა სხვა ტბის გადასახადი თევზზე „ექვემდებარება ზემოთხსენებულ რაიონს (ე.ი. აკუმეორის რაიონს ახალქალაქის ლივანში), ასეთებია: „ყუშური“ საღამოს ტბის თევზზე“, „გამოსაღები ისკუნდრიეს ტბის თევზზე“, ხოლო სოფ. ფარავანზე ნათქვამია: „სოფელი ფარავანა - ფარავანის ტბის თევზის ყუშურითურთ“ : ამრიგად, სოფელ ფარავანის თავობა, ვფიქრობთ, შესაძლებელი ჩანს ამ მიკრო ქვეყანაში, ამიტომ თავში მითოლოგიური საფუძვლის ძებნა არ უნდა იყოს გამართლებული. თავფარავანი უეჭველად ადგილის სახელია, სანინალმდეგულად აზრისა, რომ შეიძლება სიტყვა „თავი“ წარმოადგენდეს უძველესი მითოსის ნიშანს და რომ სიტყვა თავფარავანელიც ასეთივე მომენტთან გვეკონდეს საქმე, რომ ჭაბუკის თავი ყოფილიყოს გადაქცეული საკრალურ

ხმება, რადგან ბალადის შექმნის ადგილი ლოკალურია და ტბის პირას ერთმანეთის სანინალმდეგო მხარეს მდებარე სოფლები თავფარავანი და ასპანა იგულისხმება (ბერიძე 2008, 2016). ტბის სახელი გადავიდა სოფელზე და შემდეგ სოფლის სახელი, როგორც დანარჩენ ტბათა სახელები, დაუბრუნდა ტბას, ამიტომაც გვაქვს პარალელურ ფორმებად როგორც სოფლის, ისე ტბის სახელად ჯერ ფარავანი, შემდეგ კი თავფარავანი.

აქვე საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს თვით ბალადაზე - „თავფარავანელ ჭაბუკზე“, რომელიც მნიშვნელოვანი პოეტური ნაწარმოებია. მასში გარდა მთავარი პერსონაჟისა, ჭაბუკისა, რომლისაც არც სახელი ვიცით და არც გვარი, არის ორი გეოგრაფიული პუნქტი: თავფარავანი და ასპანა. ბალადის გავრცელებულობის გამო, იმის მიხედვით, თუ საქართველოს რომელ კუთხეში ვრცელდებოდა, იცვლებოდა ამ ორივე ტოპონიმის სახელი. თავფარავანის გარდა გვხვდება ვარიანტები: მთაფარავანი, თავფარავანი და თამარაშენი, ხოლო

ბა ორბელიანი ტბას მომცრო ზღვას უწოდებს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი „ტბას“ და „ზღვას“ ერთდროულად უწოდებს ფარავანს, როდესაც დედანში მხოლოდ ტბა არის (ბერიძე 2008, 205)

რაც შეეხება თამარაშენს, რომელსაც ლ.მელიქსეთ-ბეგი თამარ მეფის სახელს უკავშირებს, ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. (ჯიქია 1958, 348). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თამარის სახელს ხალხი არ დააკინებდა. შეუძლებელია ციხისთვის ეწოდებინა ვინმეს თამარას ციხე ან ხიდისთვის - თამარას ხიდი. „როდესაც ადამიანის სახელი ედებოდა საფუძვლად ადგილის სახელწოდებას, უეჭველად ა-ს დაურთავდნენ. ერთ შემთხვევაში, რაც ძალზე იშვიათია, თვით წმინდა იოსების „დაკინების“ შედეგად არსებობს იოსების ეკლესია თმოგვში, მაგრამ თამართან დაკავშირებულ სახელწოდებებს ეს არ ეხება, როგორც ჩანს, არ აკადრებდნენ და იმიტომ (ბერიძე 2008, 46).

როდესაც ასპანის ნაცვლად ასპინძას

ამ სახელის პუნქტი. შეიძლება ერთნაირი სახელების ობიექტი სხვადასხვა ადგილზე იყოს, წარმოშობაც შეიძლება საერთო ჰქონდეს, მაგრამ განასხვავებს მას დამატებითი ნიშანი. მაგალითად, საქართველოში ბევრი აგარაა, სამცხე-ჯავახეთშიც რამდენიმე აგარა გვაქვს, ამიტომ სამისამართო ფუნქცია რომ არ აღმოჩნდეს გაურკვეველი, მიუთითებენ, რომ ესა თუ ის აგარა მდებარეობს ქართლში, მესხეთში და ა.შ. ან თუ კუთხე ერთი და იგივეა, მიეთითება მუნიციპალიტეტი.

ახალციხის აგარა, ასპინძის აგარა, ხოლო თუ ერთ მუნიციპალიტეტშია და შეიძლება უკვე სოფელიც კი აღარ იყოს, მიეთითება ნასოფლარი აგარა ან მის შესახებ ითქვას - ნიალის აგარა, თმოგვის აგარა და სხვა აგარა იქნება - ოთის აგარა ან აგარის დედათა მონასტერი და სხვა.

გაურკვეველობა სამისამართო ფუნქციისა და აღნიშნული ობიექტისა დენოტაციისა, შეიძლება გამოიწვიოს თანამედროვე მიდგომამ, რომ სახელის „ლაკონურობის“, ადვილად დაწერილობის გამო გააერთი-

ისტორია-ეტიმოლოგია-გეოგრაფია

მოვლენად“ (კოტეტიშვილი 1961, 334-335). თავ კომპონენტები სახელები მესხეთის ტოპონიმიაში გვხვდება: თავკალო (სოფ.კოთელია, ნაკალარი), თავიჭალები (მინდორი, სოფ.ერკოტა), თავჯვარი (სოფ. ჭობარეთი, ნასოფლარი). ყველა შემთხვევაში თავ სიტყვას ადგილობრივთათვის გამოჩეხულის, მეტაფორის მნიშვნელობა აქვს (მ. ბერიძე 2008, 2017). ერთი შეხედვით, თავობა ობიექტის, ამ შემთხვევაში ტბის თავში მდებარეობად უნდა მიგვეჩინა, მაშინ ფარავანის თავი იქნებოდა მის ჩრდილოეთ ნაწილში, მაგრამ ასეთ შემთხვევას შინაარსობრივად გამოხატავს რუსთავი, სადაც თავ კომპონენტი სათავეს მიუთითებს. ასეთი რუსთავეები გარდა ცნობილი მესხეთისა და ჰერეთის რუსთავისა მიკროტოპონიმიაშიც გვაქვს და ის სათავეს გულისხმობს და არა თავსოფელს.



ანონ სხვადასხვა ობიექტი და ყველას ეწოდოს ერთი სახელი. მაგალითად: ჯავახეთში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არის ფარავანი ტბა და სოფელი - ფარავანი, რომელსაც დუხობორთა ჩამოსახლების შემდეგ ეწოდა როდიონოვკა მე-19 საუკუნის შუა წლებში. დღეს ამ სოფელში დუხობორები აღარ ცხოვრობენ და საერთოდ, ისტორიული სახელების აღდგენით ხდება ისტორიული სინამდვილის აღდგენა. სოფელ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ეწოდა თავფარავანი, რის მიხედვითაც შეიქმნა ცნობილი ბალადა „თავფარავანელი ჭაბუკი“, ფარავანს, რომელიც თავისი ფონეტიკური ვარიანტებით იხსენიება მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე, ჰქონდა აგრეთვე სახელწოდება თავფარავანის ტბა ხოლო მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს ფარავანის ტბიდან, ეწოდებოდა თავფარავანის წყალი, ჯავახეთის მტკვარი და სხვა.

ვფიქრობთ, წყაროების ჩვენებას და ხალხურ სახელწოდებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. წყაროთა მიხედვით ტბის სახელი ვიცით მხოლოდ, ასევე იწოდება „დავითის“ მიხედვით სოფელი, შედარებით გვიანდელია თავფარავანი როგორც სოფლის, ისე ტბის სახელად.

ასპანას ნაცვლად გვაქვს ასპინძა, ასფარა, გასპარა, ასპარა.

„თავფარავანელი ჭაბუკი“ შესულია სომხურ ფოლკლორშიც. ბალადის სოუჟეტზე შექმნილია ოვანეს თუმანიანის პოემა „ფარავანა“. ტბის და სოფლის სახელები იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ბალადასთან, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი მოყვანა ნაშრომში:

თავფარავანელი ჭაბუკი ასპანას ქალსა ჰყვარობდა, ზღვა ჰქონდა ნინად საგალი, გახვალა შიგ არა ზარობდა, ქალი ანთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა, ერთი ავსული ბებერი ვაჟისთვის ავსა ლამობდა, სარკმელზე ანთებულ სანთელს აქრობდა, აბეზარობდა. თან ამას ეუბნებოდა, ნინადაც ევა გვევარობდა. ვაჟი მიანგრევს ტალღებსა, გულშეკერი არა ჩქამობდა. ცალ ხელით დოლაბი მიაქვს, ცალ ხელით ნიავექარობდა, ზღვის გაღმა ერთი სანთელი, გამოღმა კელაპტარობდა. ღამე ჩამოვარდა წყვილი, უკუნს რამესა ჰგვანობდა, ტალღა ტალღაზე ნაცემი ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა. დაჰკარგა ფონი, შემჭირდა, მორევი ბობოქარობდა, გათენდა დილა ლამაზი, კეკლუცის თვლებს ჰგვანობდა, წყალსა დაეხრჩო ჭაბუკი, ჭორიხზე ეგდო, ქანობდა, ნიეთლი მოვის პერანგი ზევიდან დაჰფარავრობდა, ლემს დასჯდომოდა ზედ ორბი, გულს უგლეჯავდა, ხარობდა.“ (კოტეტიშვილი 1961, 29-30)

ძირითადი ვარიანტი მხარს უჭერს თავფარავანს და ასპანას ტბის გადაღმა-გადმოღმა სოფლებს. თავფარავანია სხვა ხალხურ ლექსში: „ჩვენს მეფეს გაუმარჯვანია, თავფარავანის ტბაზედა, მოუკლავს ხარი ირემი, საისრე უდევს მხარზედა“ (კოტეტიშვილი 1961, 29).

შემთხვევითი არ არის, რომ სულხან-სა-

ხმარობენ, მნიშვნელობა აქვს, ალბათ, საერთო წარმომავლობას, კერძოდ, ასპ - ფუძეს, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ასპანაც და ასპინძაც. გვაქვს ასპარა, რომელიც ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტია, ასევე გვაქვს მესხეთში გავრცელებული გვარი ასპანიძე. შეიძლება მხოლოდ გარეგნული დამთხვევა არ იყოს ამ ფორმებისა. ტოპონიმურად გაუნათლებლობის შედეგი უნდა იყოს ასპანის ნაცვლად გასპარას ხმარება, თუმცა ერთგვარ ბგერობრივ მსგავსებაზე ამ შემთხვევაშიც შეიძლება საუბარი.

თავფარავანი ტბისა და სოფლის სახელად გვიან ჩნდება. არა გვაქვს არც ვახუშტი ბატონიშვილთან და არც მანამდე ქართულ და უცხოურ წყაროებში. ეს კიდევ ერთი არგუმენტია წართვედ თავ-სიტყვის თავდაპირველობისა სახელების დროს და ეს სახელი ტბისთვისაც და სოფლისთვისაც შედარებით გვიან არის შექმნილი. მიუხედავად ამისა მასში შენახულია სახელების მთელი ისტორია, ამიტომ, ვფიქრობთ პარალელურ ფორმებად უნდა გამოვიყენოთ დღეს ორივე სახელი: ფარავანი, თავფარავანი, ფარავანის ტბა, თავფარავანის ტბა.

რომ გავითვალისწინოთ სოფლის სახელთა აღმნიშვნელი ტრადიციებისათვის ლაკონური წარწერების პრაქტიკულობა, რადგან რთული იქნება ერთ ბანერზე ორი პარალელური ფორმის გადატანა, უმჯობესია სოფლის აღმნიშვნელი ტრადიციები დაენეროს თავფარავანი.

ტოპონიმის, როგორც ადგილის სახელის, უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი არის მისი გამოჩეხვითობა. საზოგადოება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გამოარჩევს ამა თუ იმ ობიექტს სხვა მსგავსებთან და რაიმე ნიშნის მიხედვით ახასიათებს მას. სამცხე-ჯავახეთი მთაგორიანი მხარეა, ამიტომ მთა, როგორც გეოგრაფიული ტერმინი და საზოგადო სახელი ახასიათებს თითოეულ მთას, რომ ის არის რელიეფის გამოჩეხული, განსაკუთრებული სახე, მდგომარეობა, მაგრამ მთას, რომელსაც მწვერვალი „წაკვეთილი“ ექნება, საზოგადოებისათვის იქცა ტოპონიმად, როგორც თავკვეთილი. ტოპონიმს უპირველესად აქვს სამისამართო ფუნქცია. მისი საშუალებით ვგებულობთ, თუ სად მდებარეობს

საბჭოთა პერიოდის ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით როდიონოვკას ფრჩხილებში ჰქონდა მინერალური ფარავანი. დღეისათვის ფარავანი ეწოდება აგრეთვე მდინარეს, რომელიც გამოდის ფარავანის ტბას და ერთვის მტკვარს. სამი ობიექტი - ტბა, სოფელი და მდინარე აღინიშნება ერთი და იმავე სახელით. ამ სამივე ობიექტს აქვს ერთმანეთთან კავშირი, როგორც ისტორიულად, ისე გეოგრაფიულად, ამიტომაც ეს კავშირი ხალხმა გამოხატა შესაბამისი სახელებით: ფარავანი, თავფარავანი, თავფარავანის წყალი. მას შემდეგ, რაც „მონესრიგა“ საგზაო ნიშნებით და შესაბამისი ტრადიციებით ობიექტები, ფარავანის წყალს, რომელსაც ერქვა ჯავახეთის მტკვარი თავფარავანის წყალიც - „წონდა“ ფარავანი და დაიდგა შესაბამისი ტრადიციები ხერეთისთან, ამგვარად, მოხდა ტოპონიმის, ამ შემთხვევაში ჰიდრონიმის, მთავარი ფუნქციის, სამისამართო ფუნქციის უარყოფა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ტრადიციებს ჰქონდეთ „მდინარე“, „სოფელი“ შესაბამისი სიმბოლიკით, მაგრამ სახელის უნიფიცირებით შეცდომაში შევყავართ, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე უცხოელი, რომელიც შემოსული ჩვენ ქვეყნის გასაცნობად. 2009 წელს, როდესაც დაიდგა ეს ტრადიციები, ჩვენ ვფიქრობდით, რომ საჭირო იყო ამ სახელის შეცვლა ისტორიული სახელით - ჯავახეთის მტკვრით (ბერიძე 2011, 96-99). ვითვალისწინებთ რა დღევანდელ დამოკიდებულებას და იმასაც, რომ აღნიშნულმა ტრადიციებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების დამოკიდებულებაზე მდინარის სახელთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მდინარეს მრავალ სახელთაგან ეწოდოს თავფარავანის წყალი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელი სომხური მოსახლეობა მდინარეს უწოდებს თავფარავანს, თავფარავანწაის, თავფარავანს, თავფარავანს, რაც თავფარავანის ფონეტიკური ვარიანტებია არაქართულ გარემოში. ასე რომ, თავფარავანის წყლის დაკანონებით გამოიკვეთება ორიენტირიც, ტბა, რომელსაც ჰქვია ფარავანი, სოფელიც თავფარავანი და მდინარეც, რომელიც სათავეს იღებს ტბიდან...



მატიანე

ლიკანი. 1910 წელი

„ლელო, არ ღიკარბეზი!“

განა შეიძლება?!

მდინარე რომ აღმა-აღმა დიოდეს, გაზაფხულზე ხეს ფოთლები სცვიოდეს, მხდელი კაცი ომში სჭექდეს, ყიოდეს, და მამაცი მიმისაგან კიოდეს...

დედას მზე ცუდ შვილზე ამოსდიოდეს და ანონიმს ტკბილი სიტყვა სდიოდეს...

მიჯნურთაგან დაჭრილიც რომ არ იყოს, გულს ჭრილობა მაინც აწნდეს, სტკიოდეს, მაშინ შენთვის მეც გავხდები ძვირფასი, უტყვე ვირსაც კი დაუდება მწამს, ფასი!

ავტორ-მთქმელი ბიორბი (ბომბი) მელიძეძე, 71 წლის

ფოკლორი

ახ, შენ გიდი, ჩახალ ოლლი, ერთხელ გიქრიდა ქარი, ელქეობა შემოიდე, ვერ იქრულე კაი ქარი. აჭარა დასწვი, დასდავე, მუუკიდე ცეცხლის ალი, ესეც რომ ფაშამ გაიგო, რომ კი გახდა ჯავრით თვრალი. შემირიგდი ჩახალ ოლლი, რომ კი მოგვე დიდი ჰალი, შეურიგდა ჩახალ ოლლი, მას გავარდა ორივე თვალი. აჭარა გადმოიარა, თან ნამოილო ნაფარი, ადიგვენ ჩამოიარა, მეიდან ჭამა სამხარი. კვანჯლი ხიდთან რო მივიდა, უკან მისდევდა ნაფარი. ისე შევიდა ციხეში, ვით ფადიშა სარასკარი. ადგა და ვალეს ნავიდა, სამი ძმა და ბაირახტარი, სამთავ ერთად თავი მოსჭრეს, რაგორც ყასაბმა თხა-ცხვარი.

სოლოლას სახოვარი

ერთი სოლოლაი იყო და არაბას ნა ევრიითოს. შენი ჭირიშე ცხენოვან, მარად იარე გზაზედა. სალამოზე მიგიყვანამ ქილაგით დაგიყრი ქერსა, საპნით დაგბანამდე ფეხსა!

პირველი ჯირითი შემოჰკრა, გადაატარა თავზე სოლოლამ არაბას, მეორე შემოტყორცნა, გადაატარა კიდენ თავზე, მესამე რო შემოტყორცნა, უზნავი ჩამოხლინა.


აპა, გამიძებ არაბო, მოგვედეთ ღვთის სამართალზედა, სოლოლამ რო შემოჰკივლა, ფერი უცვალა ცხენზედა, არაბი ძირ ჩამოილო, სული აღარ დაჰყვა ძირსა, მოლღები და ხოჯები ქითაბ აბერტყენ თავზედა, ქითაბი რალას უშველის? ქურქი ახურე თავზედა, სოლოლაი დადგა, დაფიქრდა – ეს რა გადამხდა თავზედა? სადილოგით ჩამოვედი კაცი მუუკალ კარზედა.

ეუვანი კოჭებ თამაშონს, გაუხდება გულში ზაგნი. ახლა სანადიროთ ნავიდა. ეუვან ჩავყვე, ტახნი ვხოცე, ეშენი ჯეფეს ჩავიყარე, პილნი ტახნი გამამიჩნდა, ჯაჭვის კალთა გამიხია, ამოვანტვირე ეშვები, ცხენის რახტზე დავიკიდე. ბიძა შეხვდა ეუვანას: სად იყავ, ეუვან, სად იყავ, რაზე მადრიკე პირია, ეუვანამ უთხრა: ეუვან ჩავყვე, ტახნი ვხოცე, ეშენი ჯეფეს ჩავიყარე, პილნი ტახნი გამამიჩნდა, ჯაჭვის კალთა გამიხია, ამოვანტვირე ეშვები, ცხენის რახტზე დავიკიდე. ბიძას იებუნება ეუვანი: სად იყავ, ბიძავ, სად იყავ, რაზე მადრიკე პირია? ბიძამ უთხრა: აი, იმ ერთ სოფელშია

ახალი გამოცემა

ქართველი ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნატო ყრუაშვილს, რომლის ნაშრომების უმეტესობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საგანმანათლებლო ცხოვრებასა და სტამბოლის მამათა სავანის მესხ განმანათლებელთა მოღვაწეობას ეხება. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კი ხშირად იბეჭდება მისი პუბლიკაციები, რომლებიც მკითხველი საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს. იგი 15-მდე სამეცნიერო კრებულის ავტორია.

ახლახან კი ქალბატონმა ნატო ყრუაშვილმა კიდევ ერთი შესანიშნავი კრებული გამოსცა, რომელიც ეძღვნება სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მონასტრის გამგის, მამა შალვა ვარდიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლის ღვაწლი სავანის საუკუნოვან ისტორიაში განუსაზღვრელად დიდია. წიგნში მკითხველი გაეცნობა შალვა ვარდიძის ბიოგრაფიას; მის ურთიერთობას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე ემიგრანტებთან; დამოკიდებულებას გამაჰმადიანებულ ქართველებთან; მთარგმნელობით საქმიანობას; ქართული ტიპიკონისათვის ბრძოლას და სხვ. გამოცემის რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფე-



სორი შუშანა ფუტკარაძე; რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ციური ლაფაჩი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურმან პაპაშვილი. აღნიშნული ნაშრომი დიდ დახმარებას გაუწევს სტამბოლის ქართველ მამათა სავანისა და, საერთოდ, ქართველ კათოლიკეთა მოღვაწეობით დაინტერესებულ პირებს. **საკ. ინფ.**

ლხინი მინახამს მრავალი, რა ვაშკაცმა ის არ ნახოს, მისი სიცოცხლე რა არი?! ახლა ეუვანა ეკითხება: – სად არი, ბიძავ, სად არი, რამტონი დღის სავალა? – თუ ქიფით ნახვილოდე, სამი დღისა სავალა, და თუ ჯავრით ნახვილოდე, საათისა სავალა. გაიხადა საომარი, ტანთ ჩაიცვა საბატონო, აქ შეჯდა და იქ ჩამოჯდა აფრაშიონ ჩარდახ წინა. თორმეტი იქვე აჩხა, ერთსაც ამობდენ და ღვედელსა, აადინა სისხლის ღვარი, გაუჭირდებოდა ცხენსა. ლამაზმან გადმოიხედა, ხელეზე დაიდვა ჰინა, – ვინ მოსულა ეს ჭაბუკი, რომ ანათამს მზესიფა? მე თუ მაგას არ მანახამთ, აგერ სული ამამხდესა. ეუვან ბანგი შეაპარეს, ხელთ მოჰპარეს თავის რახტი, ეუვან ბანგი გამოჰქარდა, ხელთ არ ჰქონდა თავის რახტი, – ხელთ მამეცით ჩემი რახტი, აათას ქურდში შემბაითა. – ხელში გეყავ ომსა გვიქადის, ეს ეშმაკი და ფლიდო, ავმართოთ ძელი მალალი, მასზედა ჩამოვასხროთო. დანდებდან გაიხედა, ფირან ძელი ამართესა, – ბატონო, თქვენი ჭირიშენი, ერთი მოისმინეთ რყმისა, სამტეროს ხე გამხმარეოსო, ნულარ დაუმაღლებ ძირსა. და თუ გაუნდლებ ძირსა, ველარ დაიძინამთ ძილსა.

ეუვან არის გივის შვილი, ერან ელრის საყვარელი, როსტომი მისი ბიძა, ციხეს აღმა უზამს პირსა, დღისით დაგპარამთ გაუთენულ, ღამით ცოლსა და შვილსა, ისე გაგიხდის საქმესა, მოგიკიდებს წისქვილ-ხრილსა. ******* საზი-ქამან რო უკრენდენ, ასე მღეროდნენ: ნეტაი რათ შემხვდი შენ მე პირველათ და რათ გავიცან შენი თვალები! მე სიყვარულით ვარ დატანჯული, ცივსა სამარეს მევემგზავრები. მამეცი ხელი, გითხრა მშვიდობით, უკანასკნელათ გემეგესალმო! ჯიგი – ჯიგი, ვაჰე-ვაჰე, ავათა ვარ, მოდი მნახე, თან ნამალი ნამამილე! რა თქმა უნდა, სიყვარულის ნამალ ნამუ-ულემდა. ჩან. თსუ - ის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტის ლილი ქაზანჯაძეს მიერ ნინო იოსების ასულ პარო ნაშვილისაგან, 80 წლის. ახალციხის რაიონის სოფ. უდე, 1961 წელი. მოგვანოდა მერაბ პირიძემ.

შეცდომის გახიზნა
ჩვენი გაზეთის წინა ნომრის მეორე გვერდზე, მეორე სვეტის მეორე აბზაციდან ნუმერაცია უნდა იყოს 1-დან 7-მდე, ბოლო აბზაცი კი გამორეზებულია, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორს.

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“ (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასაგარტლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თვედლორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3, ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24 lit.meskhedi@gmail.com lit.meskhedi@yahoo.com

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამოხატულებებს პასუხს არ აგებს